



**საქართველოს სახალხო დამცველი
პრევენციის ეროვნული მექანიზმი**

**2012 წლის სექტემბერ-ნოემბერში
საქართველოს ტიხეებში
განვითარებული მოვლენები**

სპეციალური ანგარიში

2012

WWW.OMBUDSMAN.GE



ევროკავშირი



საქართველოს
სახალხო
დაცველი

EU PROJECT "SUPPORT TO THE PUBLIC DEFENDER'S OFFICE"
ევროკავშირის პროექტი „სახალხო დაცველის აპარატის ხელშეწყობა“

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2012 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში სასჯელალსრულების დაწესებულებებში განხორციელებული სპეციალური მონიტორინგის ანგარიშს.

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, ევროკავშირის მხარდაჭერით, 2009 წლიდან ახორციელებს საქართველოში არსებული სასჯელალსრულების დაწესებულებების მონიტორინგს. ჩატარებული მონიტორინგის შედეგები აისახება სახალხო დამცველის საპარალამენტო და სპეციალურ ანგარიშებში.

უკანასკნელად სპეციალური პრევენციული ჯგუფის გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა მიმდინარე წლის ზაფხულში, რა დროსაც კვლავ გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა, მათ შორის, არასათანადო მოპყრობის სისტემური ხასიათი, რაზეც სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფი პერმანენტულად ამახვილებდა ყურადღებას გასულ წლებში. სამწუხაროა, რომ აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობამ წლების მანძილზე არ მიიღო სათანადო და ადეკვატური ზომები, მეტიც, ტენდენციად იქცა სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი სისტემური დარღვევების სრული იგნორირება. შედეგად მოხდა ის, რაზეც ასევე ხშირად იყო საუბარი სახალხო დამცველის ანგარიშებში - დამკვიდრდა დაუსჯელობის სინდრომი - პატიმრების უფლებების დარღვევა, მათზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა რუტინულ მოვლენად იქცა.

ზემოაღნიშნული დაადასტურა 2012 წლის 18 სექტემბერს მედიასაშუალებებით გავრცელებულმა ე.წ. „ციხის კადრებმა“, სადაც ასახული იყო პატიმართა ცემის, დამცირების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. ამ მოვლენის საპასუხოდ სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაიწყო საგანგებო მონიტორინგი სასჯელალსრულების დაწესებულებებში.

18 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებებში განხორციელდა 148 ვიზიტი, რა დროსაც მონახულბული იქნა ათასობით პატიმარი, მათ შორის, 1879 - ინდივიდუალურად.

2012 წლის სექტემბერში მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით გამოქვეყნდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თბილისის N8 დაწესებულებაში გაკეთებული ფარული ვიდეორჩანანერები, სადაც აშკარად ჩანს პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები - ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რაშიც მონაწილეობენ არა მხოლოდ ციხის თანამშრომლები, არამედ სასჯელალსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებიც, მათ შორის, ის პირებიც, რომლებზეც არასათანადო მოპყრობის კონტექსტში არაერთხელ იყო საუბარი სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებში და პრესრელიზებში. მიუხედავად ამისა, იგივე პირები კვლავ აგრძელებდნენ საქმიანობას სასჯელალსრულების დაწესებულებებში, ხოლო დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრება კიდევ უფრო ამძაფრებდა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შინაარსს.

ქართულმა ტელეარხებმა პირველი ფარული ჩანანერი გაავრცელეს 2012 წლის 18 სექტემბერს, საღამოს საათებში. ვიდეომასალა გადაღებული იყო N8 დაწესებულებაში და მასზე ასახული იყო ამავე დაწესებულების საკარანტინე ნაწილში არსებული მდგომარეობა, სადაც დაწესებულების ხელმძღვანელი პირების და რიგითი თანამშრომლების მიერ ხდებოდა პატიმართა ცემა მათი კარანტინში ყოფნის და საკარანტინე ნაწილიდან საკანში გადაყვანის დროს (ე.წ. კარანტინის დაშლის პროცესი). აღსანიშნავია, რომ პატიმართა ცემაში მონაწილეობას იღებდა როგორც N8 დაწესებულების დირექტორი დავით ხუჭუა და მისი მოადგილე ვიქტორ ყაჭეიშვილი, ასევე დაწესებულების სარეჟიმო სამსახურის უფროსი ოლეგ ფაცაცია¹ და ამავე დაწესებულების სხვა თანამშრომლები. გარდა დასახელებული პირებისა, პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ამსახველ კადრებში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ ამოცნობილ იქნა N8 დაწესებულების თანამშრომელი ვინმე გიორგი ავსაჯანიშვილი, რომელიც მცირე ხნის წინ მუშაობდა N18 დაწესებულებაში და ვის თაობაზეც პატიმრებს არაერთხელ მიუმართავთ სახალხო დამცველისთვის გ.ავსაჯანიშვილის მხრიდან მათ მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. თავის მხრივ, სახალხო დამცველმა არაერთ ასეთ საქმეზე² მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას გამოძიების დაწყების და დამნაშავე პირების დასჯის მოთხოვნით, თუმცა ყოველ ჯერზე უშედეგოდ - გამოძიება, როგორც ყოველთვის, აღნიშნულ საქმეებზეც შემოიფარგლა ფორმალური მოკვლევით და ვერანაირ კონკრეტულ შედეგს ვერ მიაღწია.

1 აღნიშნული პირის სისასტიკის თაობაზე სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არაერთმა პატიმარმა მიაწოდა ინფორმაცია, თუმცა არცერთმა მათგანმა არ ისურვა საგამოძიებო ორგანოებისთვის მიმართვა. მიუხედავად ამისა, ოლეგ ფაცაციას სახელი, სხვა თანამშრომლების გვერდით, მითითებულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2011 წლის პირველი ნახევრის სპეციალური ანგარიშში და სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში.

2 მაგ. კახაბერ ბარათაშვილის საქმე, გიორგი ოქროპირიძის საქმე, სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში.

გარდა ამისა, გავრცელებულ ვიდეომასალაში ნათლად ჩანს, რომ პატიმართა მიმართ ცემაში მონაწილეობას იღებდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გაგა მკურნალიძე, რომლის თაობაზეც 2010 წლის 19 მარტს სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს გეგუთის N8 (ამჟამად N14) დანესებულებაში გ.მკურნალიძის მეთაურობით სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. აღნიშნულ საქმეზე დაიწყო გამოძიება, თუმცა დღემდე არანაირი კონკრეტული შედეგი არ დამდგარა.³

2012 წლის 18 სექტემბრის საღამოსვე გავრცელდა სხვადასხვა კადრები, სადაც ასახულია N8 დანესებულების საკარანტინე ნაწილში არსებული მცირე ზომის საკნები, ე.წ. „ბოქსები“. სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუდმივად ამხვეილებდა ყურადღებას სწორედ იმ კუთხით და იმ ასპექტებზე, რაც შემდეგ გამოჩნდა ფარულ ვიდეოჩანაწერებში. სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში იყო აღწერილი, თუ რეალურად რას წარმოადგენდა ეს „ბოქსები“ – დაახლოებით 2–3 კვ. მეტრის საკანი, სადაც არ არის არც საწოლი, არც სკამი და კარების მაგივრად აქვს გისოსები. სწორედ ეს „ბოქსები“ ფიგურირებს ვიდეოჩანაწერებში, სადაც ჩანს, რომ ერთ–ერთ პატიმარს ბარძაყებს შორის გაკეთებული აქვს ცოცხი, თავზე ახურავს სპეციალური ქუდი, რათა არ დაეტყოს დაზიანებები, პატიმარი მიბმულია კარის გისოსზე, ხოლო თანამშრომლები აყენებენ შეურაცხყოფას, დასცინიან მას, ექცევიან უხეშად და აგდებთ. სხვა ჩანაწერში ასეთივე „ბოქსში“ განთავსებული პატიმარია გადაღებული, რომელიც ასევე მიბმულია კარის გისოსზე და მიუხედავად მისი არაერთგზის მოთხოვნისა და თხოვნისა, არავინ მას ყურადღებას არ აქცევს.

გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანს, რომ დანესებულების სარეჟიმო სამსახურის უფროსი ოლეგ ფაცაცია განსაკუთრებული სისასტიკით და აგრესიით გამოირჩევა პატიმართა მიმართ. პირადად ცემს და აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას პატიმარს, ემუქრება სექსუალური ძალადობით და პირდაპირი მნიშვნელობით აფურთხებს სახეში. აგრეთვე, გავრცელებულ სხვა კადრებში ჩანს, თუ როგორ ამიშვლებენ საკარანტინე ნაწილში პატიმარს დანესებულების თანამშრომლები და აიძულებენ მას ანუსში საკუთარი ხელით გაიკეთოს მოკიდებული სიგარეტი და მოხრილ მდგომარეობაში იდგეს იმ დრომდე, სანამ თანამშრომლები არ უბრძანებენ სიგარეტის გამოღებას და ამავე სიგარეტის მონევას, ხოლო შემდეგ ისევ ანუსში გაკეთებას. გავრცელებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ სასტიკად ექცევიან და სცემენ ერთ–ერთ პატიმარს, რომელიც სავარაუდოდ არის არასრულწლოვანი. მასაც დანესებულების თანამშრომლები ემუქრებიან სექსუალური ძალადობით, აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, პრეზერვატივწამოცმული რეზინის ხელკეტით იმიტირებენ მის გაუპატიურებას და აიძულებენ, შეაგინოს ე.წ. კანონიერ ქურდებს. მიუხედავად პატიმრის არაერთი თხოვნისა, რომ შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედებები, დანესებულების თანამშრომლები არ წყვეტენ ამ სისასტიკეს და აგრძელებენ დანაშაულებრივ ქმედებას.

3 აღნიშნული საქმე შესულია სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

2012 წლის სექტემბრამდე სასჯელადსრულების დანესებულებებში არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდში ჩატარებული მონიტორინგების დროს, პატიმრები მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის წერილობითი დადასტურებისგან თავს იკავებდნენ, ხშირ შემთხვევაში კი არც საუბრობდნენ ამის შესახებ, ხოლო ვინც დანვრილებით ჰყვებოდა მათ ან სხვა პატიმრების მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, ყველაზე ხშირად ასახელებდნენ ვინმე „ანგოს“, „ხონსკის“ და ბექა მყავანაძეს. ზაფხულში ჩატარებული მონიტორინგის დროს ჰყვებოდნენ ქერა, ცისფერთვალეა თანამშრომელზე, ვინმე ოლეგზე.⁴ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა მონიტორინგის დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს სხვა დანესებულებაში განთავსებული პატიმრები ესაუბრობდნენ გლდანის N8 დანესებულებაში პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც ისინი ფაქტების გასაჯაროებისგან თავს იკავებდნენ. იმ ბევრი პრობლემათაგან, რაც ასახულია სახალხო დამცველის ანგარიშებში, დიდი ნაწილი ემყარებოდა პრევენციული ჯგუფის დაკვირვების შედეგებს. N8 დანესებულებაში ყოველთვის იგრძნობოდა დაძაბულობის მომენტი და შიშის ფაქტორი პატიმართა მხრიდან პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრების დროს, თუმცა პატიმრები ძირითადად აცხადებდნენ, რომ ისინი თავს გრძნობდნენ კარგად და ამ დანესებულებაში მათ რაიმე განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი პრობლემა არ ჰქონდათ. ეს მაშინ, როდესაც მათ დანესებული ჰქონდათ სხვადასხვა გაუმართლებელი შეზღუდვები, კერძოდ: აკრძალული ჰქონდათ საცხოვრებელ საკანში დღის მანძილზე საკუთარ სანოლზე წამოწოლა ან ძილი, ხოლო 22:00 საათზე აუცილებლად ლოგინში უნდა დაწოლილიყვნენ და დაეძინათ; არ შეეძლოთ საკანში სიგარეტის მოწევა და ეს ნებადართული იყო მხოლოდ საკნის ტუალეტში, სადაც დაახლოებით 1 კვ. მეტრის ფართობი რამდენიმე პატიმარი ერთად შედიოდა მოსაწევად; საკნის კარის ნებისმიერ გახმაურებაზე, იქნებოდა ეს საკნის კარის, კარზე დამონტაჟებული მცირე ზომის სარკმლის თუ სათვალთვალს გაღება, უკლებლივ ყველა პატიმარი ფეხზე უნდა წამომდგარიყო და სანოლესთან ერთ რიგად მოწყობილიყო; თანამშრომლები აიძულებდნენ საკანში მყოფ პატიმრებს მორიგეობას, რაც ნიშნავდა იმას, რომ ერთი პატიმარი ხდებოდა პასუხისმგებელი მის საკანში მყოფ დანარჩენი პატიმრების ქცევაზე და ნებისმიერი თანასაკნელის მიერ ჩადენილი რაიმე მცირე გადაცდომისთვის ისჯებოდა მორიგე პატიმარი; პატიმრებს ეკრძალებოდათ საკნის ფანჯარასთან მიახლოება; ეკრძალებოდათ ჩვეულებრივი საუბარი საკანში და ერთმანეთში საუბრობდნენ ჩურჩულით; ეკრძალებოდათ გარეცხილი ტანსაცმლის გაფენა საკანში გასაშრობად და ვალდებულები იყვნენ სველი ტანსაცმელი ან თეთრეული შეენახათ ტუმბოებში; ეკრძალებოდათ სიცილი; ეკრძალებოდათ რადიოს მოსმენა ისეთ ხმაზე, რომელზეც ზოგადად შესაძლებელია რადიოს სმენა და მხოლოდ ყურზე მიდებულ მდგომარეობაში თუ ჰქონდათ რადიოს მოსმენის საშუალება, სხვა შემთხვევაში რადიოს ხმის გაგონება

4 საუბარია ოლეგ ფაცაციაზე

უბრალოდ შეუძლებელი იყო; თანამშრომლები მიმართავდნენ გვართ, რა დროსაც პატიმარს თავად უნდა დაესახელებინა საკუთარი სახელი და მამის სახელი, ხოლო პატიმარს უნდა მიემართა თანამშრომლისთვის „ბატონო კონტროლიორო“; მიღებისას პატიმრებს ძალით აწერიდნენ ხელს თანამშრომლობაზე, რასაც შემდგომ წარმატებით იყენებდნენ მის დასაშინაობადად; დანესებულების საცხოვრებელ კორპუსებზე მუდმივად იგრძნობოდა ასეთი სიმძლავრის დანესებულებისთვის არაბუნებრივი სიჩუმე.

ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა მრავალი შეზღუდვისა და აკრძალვების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, პატიმრების ექვემდებარებოდნენ არაადამიანურ მოპყრობას, ცემას, აბანოში ჩაკეტვას, დასჯას, რაც გულისხმობდა სამართო საკანში გადაყვანას ან დასჯის მიზნით საკარანტინე საკანში ჩაყვანას, რაზეც სახალხო დამცველს აგრეთვე არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება იქ არსებული ცუდი პირობების გამო, სადაც ერთი პერიოდი 8 ადგილიან საკარანტინე საკანში რამდენიმე ათეულ პატიმარს კვირების მანძილზე უწევდა ყოფნა და სადაც არ იყო ელემენტარული ჰიგიენის დაცვის არანაირი საშუალება, არ იყო საკმარისი რაოდენობის ჭურჭელი, სუფევდა ანტისანიტარია და მუდმივად იყო გადატვირთული. ამის დამადასტურებელია სამართო საკანებში პატიმართა რეგისტრაციის ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერები. სამართო საკანში ან საკარანტინე საკანში დასჯის მიზნით ჩაყვანა ხდებოდა ძირითადად ისეთ დარღვევაზე, როგორც იყო „ხმაური“, რაც გულისხმობდა ჩვეულებრივ ხმაზე დალაპარაკებას ან გაცინებასაც. ზოგჯერ „ხმაურად“ მონათლული იყო ექიმის მოთხოვნაც, რაც ასევე დასჯის საბაზი ხდებოდა.

გლდანის #8 სასჯელაღსრულების დანესებულება გახსნის დღიდან გამოირჩეოდა პატიმართა უფლებების უგულვებლყოფისა და დარღვევის სიმრავლით. სახალხო დამცველი არაერთ ანგარიშში მიუთითებდა გლდანის #8 სასჯელაღსრულების დანესებულებაში პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და ღირსების შემლახავი ფაქტების შესახებ, თუმცა სამწუხაროდ ყველა ასეთი ფაქტი ძირითადად სათანადო რეაგირების გარეშე რჩებოდა, როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების მიერ. არაერთი რეკომენდაცია, რომელიც შესაძლო ანგარიშსწორებისაგან პატიმართა დაცვის მიზნით მათ სხვა დანესებულებაში გადაყვანას შეეხებოდა, დეპარტამენტის მიერ არ სრულდებოდა. ყველა მსგავს რეკომენდაციაზე მოდიოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის სტანდარტული პასუხი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პატიმრის უსაფრთხოება დაცულია და არ არსებობს მისი სხვა დანესებულებაში გადაყვანის საჭიროება.

ჯერ კიდევ 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველის მიერ გლდანის N8 დანესებულების კარანტინში არსებული მდგომარეობა შეფასდა, როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ გლდანის დანესებულებაში დასჯის მიზნით პატიმრებს ხშირად განათავსებენ კარანტინში, ამავდროულად დასჯის ეს მეთოდი არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის განწერილი და შესაბამისად უკანონოა.

ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) 2010 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გლდანის N8 დანესებულებაში და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა N18 სამკურნალო დანესებულებაში განთავსებული პატიმრები არ ადასტურებენ არასათანადო მოპყრობას, სხვა დანესებულებებში განთავსებული პატიმრებისაგან განსხვავებით, რომლებიც განაცხადებენ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის თაობაზე. გლდანის საპყრობილეში პატიმრებს ცემენ კარცერებსა და საშხაპეებში საკნის კარზე დაკაკუნებისთვის, ხმამაღლა ლაპარაკისთვის, სხვა საკანში განთავსებულ პატიმართან კონტაქტის დამყარებისთვის. კომიტეტს მხედველობიდან არ გამორჩენია არაბუნებრივი სიჩუმე გლდანის საპყრობილის საცხოვრებელ ნაწილში, რაც გარდა იმისა, რომ ბადებს საფუძვლიან ეჭვებს, ასევე, ერთგვარად ადასტურებს პატიმრების ნათქვამს.

ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) 2010 წლის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „გლდანის N8 საპყრობილეში ვიზიტის დროს კომიტეტს პრაქტიკულად არ მიუღია განცხადებები არასათანადო მოპყრობის შესახებ. თუმცა, მოგვიანებით, სხვა დანესებულებებში განთავსებულმა რამდენიმე პატიმარმა განუცხადა დელეგაციის წევრებს, რომ მათ გლდანის საპყრობილეში ყოფნისას არასათანადოდ ექცეოდნენ თანამშრომლები, განსაკუთრებით კი „კარცერსა“ და საშხაპეებში, ასევე დანესებულებაში მიღების დროს. როგორც პატიმრები ამტკიცებდნენ, ფიზიკური შეურაცხყოფა (კეტიტ, მუშტით, ნიხლით ცემა) მოჰყვებოდა ისეთ დარღვევებს, როგორცაა საკნის კარზე დაკაკუნება, ერთმანეთში ხმამაღალი ლაპარაკი ან სხვა საკნებში განთავსებულ პატიმრებთან გამოლაპარაკება. დელეგაციამ აღნიშნა, რომ გლდანის საპყრობილეში ვიზიტის დროს საკნებში უჩვეულო სიჩუმე სუფევდა.“

როგორც ზევით ითქვა, აღნიშნულ საკითხებზე და პრობლემებზე რეაგირებისგან წლების მანძილზე თავს იკავებდა სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტრო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და საქართველოს მთავრობა. საქართველოს პარლამენტის რეაგირება, სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის შემდეგ, იმით იფარგლებოდა, რომ პარლამენტი „ცნობად იღებდა“ ანგარიშში მოყვანილ ფაქტებს.

2011 წლის დასასრულს მოხდა დირექტორების ცვლილებები, თუმცა ესეც ატარებდა ფასადურ ხასიათს, რაც ჩატარებულმა მონიტორინგმაც ცხადყო. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2011 და წინა წლებში არასათანადო მოპყრობის მხრივ გამორჩეული იყო N8 დანესებულება და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო – N18 სამკურნალო დანესებულება.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 2011 წლის ზაფხულიდან, მას შემდეგ, რაც ქუთაისის N2 დანესებულებაში შეიცვალა ხელმძღვანელობა, საგრძნობლად გაუარესდა მდგომარეობა და პატიმართა მიმართ მოპყრობა ამ დანესებულებაში, რაც 2009 წლის შემოდგომიდან 2011 წლის ზაფხულამდე შედარებით გაუმჯობესებული იყო. 2011 წლის ზაფხულიდან კი ქუთაისის N2 დანესებულებაში მდგომარეობა გაუთანაბრდა N8 დანესებულებისას,

რაზეც სახალხო დამცველმა ასევე გაამახვილა ყურადღება საკუთარ ანგარიშებში. რიგ შემთხვევებში, ქუთაისის N2 დაწესებულებაში პატიმართა მიმართ მოპყრობა კიდევ უფრო უარესი იყო, ვიდრე N8 დაწესებულებაში. მაგ: დასჯის მიზნით საკარანტინე საკანში მყოფ პატიმრებს თავზე ხელებდანყობილ და მუხლებზე დამდგარ მდგომარეობაში ამყოფებდნენ სხვადასხვა ვადით, საკარანტინე საკნის იატაკზე უსხამდნენ ქლორიან წყალს, რომ პატიმრისთვის ბეტონის იატაკზე წამონოლის საშუალებაც მოესპოთ და ა.შ.

ასეთივე მძიმე მდგომარეობა იყო წლების მანძილზე ქსნის N15 დაწესებულებაში, საიდანაც მსჯავდებულებს არაერთხელ მოუმართავთ სახალხო დამცველისთვის ცემასა და არაადამიანურ მოპყრობაზე მითითებით, რამდენჯერმე კოლექტიური საჩივრებითაც, თუმცა სახალხო დამცველის არცერთ რეკომენდაციას არ მოყოლია საგამოძიებო ორგანოების ადეკვატური რეაგირება. ამის მაგივრად, პროკურატურიდან მიწოდებული ინფორმაციის საპასუხოდ, დაწესებულების ადმინისტრაცია „მოლაპარაკებებს“ აწარმოებდა პატიმრებთან და სხვადასხვა დაპირების საფასურად აიძულებდა მათ, უარი ეთქვათ საჩივარზე. განსაკუთრებით ურჩები კი გადაყავდათ დახურულ დაწესებულებებში, სადაც მათ გამოძიებელიც აღარ აკითხავდათ. უკანასკნელად ასეთი ფაქტი მოხდა 2012 წლის აგვისტოში, როდესაც სახალხო დამცველს ქსნის N15 დაწესებულების 700-ზე მეტმა პატიმარმა მიმართა საჩივრით, საიდანაც ყველაზე აქტიური 28 მსჯავრდებული გადაიყვანეს თბილისის N1 დაწესებულებაში, ხოლო მათგან სამს უმიზეზოდ შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა. დაწესებულების დირექტორი მათ სასჯელის დამატებითაც დაემუქრა, თუ არ შეწყვეტდნენ ჩივილს. აღნიშნულის თაობაზეც სახალხო დამცველმა მიმართა მთავარ პროკურატურას და მოითხოვა საკითხის შესწავლა. საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის 2012 წლის სექტემბრის საგანგებო მონიტორინგი

საზოგადოების და პატიმართა ოჯახის წევრების მხრიდან ზემოაღნიშნული ვიდეოკადრების გავრცელებას მწვავე რეაქცია მოყვა - გაიმართა არაერთი საპროტესტო აქცია, მათ შორის, N8 დაწესებულების წინაც. აქციის მონაწილეები ითხოვდნენ დამნაშავეების დაუყოვნებლივ დასჯას და პატიმრების უფლებების დაცვას.

მდგომარეობას კიდევ უფრო დაძაბულს ხდიდა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოლოდინი.

2012 წლის 18 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც გლდანის N8 საპყრობილიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის

ცალკეულ თანამშრომელთა მიერ პატიმართა მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე.

2012 წლის 18 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გაავრცელა სპეციალური განცხადება, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული რეაგირება წინგადადგმული ნაბიჯია და მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურორს გატარდეს სათანადო ღონისძიებები ყველა დამნაშავე პირის დროულად იდენტიფიცირებისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ამავდროულად მოუწოდებს სასჯელალსრულების დეპარტამენტს, სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუჩეროს ყველა იმ ზემდგომ თანამდებობაზე მყოფ მოხელეს, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომანტისათვის მუშაობდა #8 დაწესებულებაში და დღესაც აგრძელებს სისტემაში მუშაობას. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ქმედება დაწესებულების ხელმძღვანელების მხრიდან მდუმარე თანხმობით ჩადენილ სამართალდარღვევას წარმოადგენს, რაც უნდა ინვესტირდეს თავად ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობასაც. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ მიწოდებულ შესაძლო არაადამიანური ან/და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტების მიმართ საგამოძიებო ორგანოები უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურად იწყებდნენ გამოძიებას და აღნიშნულ ფაქტებს სათანადო რეაგირება არასოდეს მოჰყოლია, გარდა ერთეული გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც გარკვეულწილად მსგავსი დანაშაულებისათვის წამახალისებელ ფაქტორადაც იქცა“.

2012 წლის 18 სექტემბრიდან სახალხო დამცველის აპარატში ამოქმედდა ცხელი ხაზი, სადაც დაკავშირება შეეძლოთ პატიმრებს, მათი ოჯახის წევრებს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. შემოსული ზარების შესაბამისად გადამოწმდა ათეულობით პატიმრის მდგომარეობა და დაინტერესებულ პირებს მიენოდათ ამომწურავი ინფორმაცია.

2012 წლის 19 სექტემბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები განაგრძობდნენ მონიტორინგს N8, ზუგდიდის N4, ბათუმის N3, ქუთაისის N2 და N18 სამკურნალო დაწესებულებებში. მასმედიის საშუალებით იმ დროისთვის გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პატიმრებს ფანჯრები ამოუქოლეს, რაზეც სახალხო დამცველის აპარატმა, მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, გააკეთა განცხადება, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს და პატიმრების ოჯახის წევრებს და საზოგადოებას მოუწოდა სიმშვიდის შენარჩუნებისკენ, რათა არ მომხდარიყო დესტაბილიზაცია სასჯელალსრულების დაწესებულებებში, რაც პირველ რიგში პატიმართა ინტერესებს დააზარალებდა. იმავე დღეს, პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებული იქნა რუსთავის N16, N17, N5 ქალთა და N6 დაწესებულებები, კერძოდ, დათვალიერდა აღნიშნული დაწესებულებების ყველა კორპუსი, სამართლო და საკარანტინე საკნები, აგრეთვე, საცხოვრებელი საკნები, მოხდა გასაუბრება იქ მყოფ პატიმრებთან. დაწესებულებებში იმ დროისთვის იყო სიმშვიდე, პატიმრები არ მიუთითებდნენ რაიმე სახის ძალადობაზე, სარგებლობდნენ სატელეფონო კავშირის და

რიგგარეშე პაემნების უფლებით. ამავდროულად, იმავე დღეს, მასმედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით სამი ნაცემი პატიმარი გადაყვანილი იქნა გორის სამხედრო ჰოსპიტალში. 19 სექტემბერს, ღამის საათებში, ინფორმაციის გადამონმების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც გაირკვა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს და ჰოსპიტალს პატიმრები საერთოდ არ მიუღია.

2012 წლის 20, 21, 22, 23 და 24 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებულები უწყვეტ, 24 საათიან რეჟიმში ახორციელებდნენ სხვადასხვა სასჯელალსრულების დაწესებულებების მონიტორინგს, როგორც აღმოსავლეთ, ასევე, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ დღეების განმავლობაში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა არაერთხელ მონახულეს გლდანის N8, ქუთაისის N2, ბათუმის N3, ზუგდიდის N4, გეგუთის N14, რუსთავის N17, რუსთავის N16, ქსნის N15, რუსთავის N6, ქალთა N5, თბილისის N1 დაწესებულებები. სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ საგანგებო მონიტორინგი გაგრძელდა ნოემბრის პირველ რიცხვებამდე.

ამ დღეებში განსაკუთრებული ყურადღება კვლავ ექცეოდა გლდანის N8 დაწესებულებას, სადაც განხორციელდა არაერთი ვიზიტი და მონახულებული იქნა პატიმართა დიდი ნაწილი. მათი განმარტებით, უკანასკნელ დღეებში რაიმე სახის ზენოლას ადგილი არ ჰქონდა. ა/ნ 22 სექტემბერს სასჯელალსრულების სისტემის ხელმძღვანელობის მიერ დაიწყო პატიმრებისთვის ლეიბების დარიგება. N8 დაწესებულებაში პატიმართა მცირე ნაწილი შიმშილობდა და პროტესტს გამოთქვამდა მათ მიმართ უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით და სოლიდარობას უცხადებდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლ პატიმრებს.

ამავე მიზეზით, უკანასკნელ დღეებში პატიმართა 11 კაციანი ჯგუფი შიმშილობდა ბათუმის N3 დაწესებულებაში. ანალოგიური მიზეზით, მსჯავრდებულთა გარკვეულმა ნაწილმა გამოაცხადა შიმშილობა რუსთავის N17 დაწესებულებაში, თუმცა მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს ზომა არ უკავშირდებოდა მათ მიმართ მოპყრობას, არ იყო მიმართული N17 დაწესებულების ადმინისტრაციის და თანამშრომლების წინააღმდეგ და არ ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს. შიმშილობა ჰქონდათ გამოცხადებული მსჯავრდებულთა მცირე ნაწილს ქსნის N15 და რუსთავის N6 დაწესებულებებში.

წარსულში მომხდარ არასათანადო მოპყრობის მნიშვნელოვან ფაქტებზე გაამახვილეს ყურადღება პატიმრებმა ყველა ზემოაღნიშნულ სასჯელალსრულების დაწესებულებაში, რაზეც სახალხო დამცველის რწმუნებულებს გადასცეს კოლექტიური განცხადება-საჩივრები შესაბამისი რეაგირებისთვის. სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ მოახდინა მიღებული განცხადებების შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოაღნიშნულ სასჯელალსრულების დაწესებულებებში განთავსებული პატიმრები მიუთითებდნენ მათ მიმართ მოპყრობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე უკანასკნელი დღეების განმავლობაში

და გამოთქვამდნენ კმაყოფილებას ამასთან დაკავშირებით, თუმცა ამავდროულად ითხოვდნენ წარსულში განვითარებულ მოვლენებზე დამნაშავე პირების დასჯას.

აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სასჯელალსრულების დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები ინარჩუნებდნენ სიმშვიდეს, რაიმე ინციდენტს ადმინისტრაციასთან ან ერთმანეთში ადგილი არ ჰქონია. ყველა დაწესებულებაში ვითარება იმ დროისთვის იყო ნორმალური, ექვემდებარებოდა კონტროლს და დაწესებულებები ფუნქციონირებდა ჩვეულ რეჟიმში. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ რაიმე სახის დამატებით შეზღუდვას და აკრძალვას სასჯელალსრულების არც-ერთ დაწესებულებაში ადგილი არ ჰქონია.

N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის და მათი ოჯახებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ იმ დღეებში 24 საათიანი რეჟიმით მიმდინარეობდა პაემნები ოჯახის წევრებთან. ასევე, პატიმართა დიდ ნაწილს ჰქონდა საშუალება ტელეფონით დაკავშირებოდა ოჯახებს და შეეტყობინებინა თავისი მდგომარეობა.

2012 წლის 23 სექტემბრისთვის ბათუმის N3 დაწესებულების საკარანტინე ნაწილში შეტანილი იქნა ახალი ლეიბები. ბათუმის დაწესებულებაში ვითარება იყო მშვიდი და რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. აგრეთვე, იმავე დღეებში ახალი ლეიბებით მომარაგდა თბილისის N1 დაწესებულება და N8 დაწესებულება.

გლდანის N8 დაწესებულება

2012 წლის 18 სექტემბერს, ცნობილი ვიდეოკადრების გავრცელებისთანავე, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განახორციელეს საგანგებო ვიზიტი N8 დაწესებულებაში იქ არსებული მდგომარეობის შესასწავლად. იმ დროისთვის N8 დაწესებულებაში ვითარება იყო მშვიდი და რაიმე ახალ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების უმრავლესობას ეძინა.

2012 წლის 18 სექტემბერს ტელევიზიებით გავრცელებულმა კადრებმა ძალიან დიდი რეზონანსი და აჟიოტაჟი გამოიწვია პატიმრებსა, მათ ოჯახის წევრებსა და საზოგადოებაში. ფაქტიურად იმავე საათიდან პატიმართა ოჯახის წევრების მიერ მოხდა N8 დაწესებულების ცენტრალური ჭიშკრის ბლოკირება და აქციის გამართვა. ისინი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ დაშვებას პატიმრებთან და მათ მონახულებას. ამ ჯერზე სასჯელალსრულების დეპარტამენტმა დაუშვა გამონაკლისი და რამდენიმე დღის მანძილზე ყველა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიმდინარეობდა რიგგარეშე პაემნები, რა დროსაც ყველა მსურველს (ოჯახის წევრს) ჰქონდა შესაძლებლობა, შეხვედროდა პატიმარს. რიგგარეშე პაემნები მიმდინარეობდა 24 საათიან რეჟიმში, თუმცა ვნებათაღელვა, აჟიოტაჟი და აქციები რამდენიმე დღის მანძილზე N8 დაწესებულების

ჭიშკართან და დაწესებულების ირგვლივ დამცავ მესერთან არ შემწყდარა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოაჩინა ის ხარვეზი, რასაც წარმოადგენს ორი დაწესებულების ერთ ტერიტორიაზე განთავსება, კერძოდ, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა N18 დაწესებულებიდან პატიმართა ეტაპირება სასჯელის მოხდის ადგილებზე ან მათი გადაყვანა ქალაქის კლინიკებში. დაწესებულების ტერიტორიაზე ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავდა - ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ტერიტორიიდან გაყავდათ ნაცემი და ზოგჯერ, გარდაცვლილი პატიმრებიც. აღნიშნული ვითარების ადგილზე შესწავლის მიზნით სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დამატებითი ვიზიტი განახორციელა N8 დაწესებულებაში. ვიზიტის საფუძველი გახდა დაწესებულების ტერიტორიაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების 2 მანქანის შესვლა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება და ჭიშკართან მდგომი პირების შემოფოთება გამოიწვია. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილით დაწესებულებაში ქალაქის რესპუბლიკური საავადმყოფოდან ერთ-ერთი ბრალდებული გადაიყვანეს, რომელიც პოლიციის მიერ დაკავებული იქნა 2012 წლის 16 სექტემბერს, სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. სახალხო დამცველის წარმომადგენლები უშუალოდ შეხვდნენ ბრალდებულს და გაეცნენ მისი დაკავების დოკუმენტაციას. როგორც ბრალდებულმაც დაადასტურა, ის პოლიციამ დააკავა 2012 წლის 16 სექტემბერს, რა დროსაც მიიღო ცეცხლსასროლი ჭრილობა ფეხის არეში. პატიმარი დაკავების შემდეგ გადაყვანილი იყო სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, სადაც გაუკეთდა ოპერაცია, ხოლო მოცემულ დამეს, სასწრაფო დახმარების ავტომობილით გადაყვანილ იქნა ციხის სამკურნალო დაწესებულებაში. შესაბამისად, სასჯელალსრულებით დაწესებულებაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების შესვლის მიზეზი, სწორედ აღნიშნული პატიმრის დაწესებულებაში გადაყვანა იყო.

N8 დაწესებულებასთან ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა 2012 წლის 19 სექტემბრიდან, მას შემდეგ, რაც პატიმრებმა რადიოს საშუალებით შეიტყვეს ტელევიზიებით წინა სადამოც ვაერცელებული კადრების შესახებ, ხოლო ციხის ირგვლივ თავი მოიყარეს პატიმართა ოჯახის წევრებმა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების აქტივისტებმა, რომლებიც გადაძახილის საშუალებით ამყარებდნენ კონტაქტს პატიმრებთან. დაწესებულებასთან იმყოფებოდნენ ჟურნალისტებიც. ამ უკანასკნელთა მოთხოვნა იყო დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლა და პატიმრებთან პირდაპირი კავშირის დამყარება. საზოგადოების ამგვარმა რეაქციამ კიდევ უფრო გააღვივა პატიმრების მხრიდან ხმაური და ემოციები. ამ დროს პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები დაწესებულებაში იმყოფებოდნენ. დაწესებულების უკლებლივ ყველა საცხოვრებელი კორპუსის ყველა საკნიდან ისმოდა ხმაური და საპროტესტო შეძახილები. სახალხო დამცველის რწმუნებულები პატიმრებს მოუწოდებდნენ სიმშვიდისკენ, ისმენდნენ მათ მოთხოვნებს და ცდილობდნენ, მდგომარეობა არ გადასულიყო უკონტროლო ვითარებაში, რაც წარმატებით განხორციელდა.

დანესებულებაში არსებული ვითარება პრევენციული ჯგუფის მიერ აბსოლუტურად ბუნებრივ მოვლენად შეფასდა, ვინაიდან, წლების მანძილზე, N8 დანესებულებაში განთავსებულ პაციენტებს არ შეეძლო ხმის ამოღებაც კი და მათში, გადატანილი ძალადობისა და დამცირების საპასუხოდ, დიდი რაოდენობით იყო დაგროვილი პროტესტის და გულისტკივილის გრძობა. პაციენტები სიტყვიერ პროტესტს გამოხატავდნენ იმ თანამშრომელთა მიმართ, ვისაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მათ მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებში და ჯერ კიდევ დანესებულებაში მუშაობდა. პაციენტები სტვენით და ყვირით ხვდებოდნენ მათ გამოჩენას, თუმცა, მიუხედავად არაორდინალურად დაძაბული სიტუაციისა, პაციენტების მხრიდან რაიმე სერიოზული ინციდენტი ან ძალადობრივი ფაქტი არ განხორციელებულა.

დაძაბულობის განმუხტვის და ცრუ ინფორმაციის გავრცელების აღკვეთის მიზნით სასჯელალსრულების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დანესებულებაში დაემკობათ უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები, რომელთაც საკუთარი თვალით შეეძლოთ ენახათ იქ არსებული მდგომარეობა და პირისპირ გასაუბრებოდნენ პაციენტებს. აღნიშნული პირები სახალხო დამცველის რწმუნებულების დანესებულებაში ყოფნის დროს მივიდნენ, ადგილზე შეისწავლეს იქ არსებული ვითარება და დატოვეს დანესებულება.

19 სექტემბრის ღამესვე, N8 დანესებულებაში შევიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების 2 მანქანა, რადგან N18 სამკურნალო დანესებულებიდან ქალაქის კლინიკურ საავადმყოფოებში უნდა მომხდარიყო ორი მსჯავრდებულის გადაყვანა, თუმცა აღნიშნულ საქმეს შეექმნა პრობლემა, რადგან საბადრაგო მანქანა, რომელსაც უნდა გაეცილებინა სასწრაფო დახმარების მანქანები ვერ შედიოდა ტერიტორიაზე ჭიმკართან არსებული ვითარების გამო, კერძოდ, იქ თავმოყრილი მოქალაქეები არ აძლევდნენ შესვლის საშუალებას. მას შემდეგ, რაც გადაწყდა თუ როგორ უნდა მომხდარიყო სასწრაფო მანქანების გასვლა, შეიქმნა ახალი პრობლემა, კერძოდ, გარეთ თავმოყრილი მოქალაქეები არ აძლევდნენ არც სასწრაფო დახმარების მანქანებს დანესებულებიდან გასვლის საშუალებას და მიუთითებდნენ, რომ ნაცემი პაციენტები გადაყავდათ სხვა დანესებულებაში. სასწრაფო დახმარების მანქანებმა სახალხო დამცველის პრევენციული ჯგუფის დახმარებით და ჩვენი ჩარევის შემდეგ მოახერხეს ორი მძიმე ავადმყოფი პაციენტის გაყვანა დანესებულების ტერიტორიიდან და ქალაქის კლინიკაში მათი წაყვანა.

ქსნის N15 დანესებულება

2012 წლის 20 სექტემბერს ცალკეული მედიასაშუალებების მიერ გავრცელდა ინფორმაცია ქსნის #15 სასჯელალსრულების დანესებულებაში სპეციალური დანიშნულების რაზმის შესვლის თაობაზე. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ქსნის #15 სასჯელალსრულების დანესებულებაში სპეციალური დანიშნულების რაზმი არ შესულა და დანესებულებაში იყო სიმშვიდე. მთელი დღის განმავლობაში ცალკეული

მედიასაშუალებებით ვრცელდებოდა დეზინფორმაცია სასჯელაღსრულების სხვადასხვა დანესებულებებში დესტაბილიზაციის, გარდაცვლილი და ნაცემი პატიმრების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდა სად-ის დანესებულებების მონიტორინგს. იმ დროისთვის ყველა დანესებულებაში მშვიდი ვითარება იყო. სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა კვლავ მოუწოდა ყველა მოქალაქეს, თავი შეეკავებინათ დეზინფორმაციის გავრცელებისგან, რასაც შეეძლო გამოეწვია არეულობა რომელიმე დანესებულებაში და პირველ რიგში, ზიანი მიაყენებინა პატიმრების ინტერესებისთვის.

2012 წლის 21 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა საგანგებო მონიტორინგი განახორციელა ქსნის N15 სასჯელ-აღსრულების დანესებულებაში, სადაც ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ დანესებულების ყველა ნაწილში განთავსებულ მსჯავრდებულებს.

ქსნის დანესებულების ე.წ. „ძველ ზონაში“ განთავსებულმა მსჯავრდებულებმა სა-ხალხო დამცველის სახელზე დაწერეს კოლექტიური ახსნა-განმარტება, რომელსაც ხელს აწერდა 526 მსჯავრდებული და რომელიც შეეხებოდა მსჯავრდებულთა მიმართ ქსნის N15 დანესებულების ადმინისტრაციის და თანამშრომლების მხრიდან წარსულში განხორციელებულ არასათანადო, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ახსნა-განმარტებაში ნათქვამი იყო, რომ მათ მიმართ რეგულარულად ხორციელდებოდა არასათანადო მოპყრობა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მათ სჯიდნენ ნებისმიერი წვრილმანისთვის, ხშირად უმიზეზოდაც. დასჯის მიზნით სამარტოო საკანში გადაყვანის წინ მსჯავრდებული გადაყავდათ ადმინისტრაციის შენობაში არსებულ სავარჯიშო ოთახში, სადაც სცემდნენ, აბამდნენ ხელბორკილებით გათბობის მიღზე, ზოგჯერ იყენებდნენ ელექტროშოკს, ემუქრებოდნენ გაუპატიურებით. დანესებულებაში ახლად მიღებული მსჯავრდებულების საკნებში განანილებაზე მათ ათავსებდნენ აბანოში, სადაც ისინი რამდენიმე დღეს ატარებდნენ. აქ მათ აყენებდნენ მუხლებზე, პარსავდნენ თავს და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

მსჯავრდებულების თქმით, აბანოდან ისინი სათითაოდ გაყავდათ ადმინისტრაციის შენობაში ან საკანში და აიძულებდნენ ხელის მოწერას თანამშრომლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ცემდნენ, ემუქრებოდნენ სასჯელის დამატებით და ოჯახის წევრებზე ზენოლით.

ახსნა-განმარტებიდან გაირკვა, რომ მსჯავრდებულების ყოველდღიური ყოფაც ქსნის დანესებულებაში მიძიმე იყო. მათ არ აძლევდნენ ნორმალურად ჭამის საშუალებასაც კი, კერძოდ, აჩქარებდნენ და არ ამთავრებინებდნენ სადილს, სასადილოში დალა-პარაკებისთვის სჯიდნენ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ უკრძალავდნენ ადგილიდან ადგომას და ასე ტოვებდნენ მთელი დღის განმავლობაში. ნებისმიერ ამინდში ყოველდღიური შემონმების ჩატარებისას, მსჯავრდებულებს აიძულებდნენ, საათობით

მდგარიყვენ ეზოში ღია ცის ქვეშ, ხოლო შემონმების დაწყებას სპეციალურად აგვიანებდნენ, რათა მსჯავრდებულები რაც შეიძლება დიდხანს მდგარიყვენ წვიმაში ან სიცხეში. მსჯავრდებულების განცხადებით, მათ ცემაში და მათ მიმართ სხვა სახის არასათანადო მოპყრობაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი თანამშრომლები: დირექტორი შოთა თოლორდავა, დირექტორის მოადგილე ბაჩო რუხაია, გიორგი ფარჯანაძე, მამუკა შალამბერიძე, ლევან ლეჟავა, დიმა ჩხეიძე, ნუკრი კოპალიანი, ვინმე ამბროსი, რაჯი, აკაკი კირკიტაძე, აკაკი მეტსახელად „ჩეპე“, სანდრო, ვიტალი მეტსახელად „ადამიჩი“, რომანი, ჯამბულ ბაირამოვი, ილო, თამაზი მეტსახელად „ჩელენტანო“, ფარნა, ძმები ბადრი და ნუკრი. ამასთან მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ ეს სია არაა ამომწურავი და სხვა თანამშრომლების სახელები არ იციან, თუმცა სახეზე ცნობენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმავე დაწესებულების სხვა ნაწილის მსჯავრდებულებმა ამა წლის აგვისტოს თვეში გადასცეს პრევენციულ ჯგუფს კოლექტიური ახსნა-განმარტება, რომელსაც ხელს აწერდა 700-ზე მეტი მსჯავრდებული და რომელშიც ისინი ასევე საუბრობდნენ მათ მიმართ ფიზიკური და სხვა სახის ზეწოლის ფაქტებზე და ასახელებდნენ იმავე თანამშრომლებს, თუმცა აღნიშნულს დღემდე პროკურატურის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოყოლია. იგივე შეიძლება ითქვას იმავე დაწესებულების 161 მსჯავრდებულის კოლექტიურ საჩივარზე, რომელიც სახალხო დამცველმა 2010 წელს გადასცა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ თითოეული მათგანი მზად იყო, დეტალური ჩვენება მიეცა გამოძიებისთვის. ახსნა-განმარტება პრევენციული ჯგუფის მიერ გადაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. ამასთანავე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა მთავარ პროკურატურას, რათა სწრაფად და ეფექტურად იქნეს გამოძიებული N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ყველა აღნიშნული ფაქტი.

რუსთავის N16 დაწესებულება

2012 წლის 23 სექტემბერს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა საგანგებო მონიტორინგი განახორციელა რუსთავის N16 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც შეხვდა და გაესაუბრა იქ განთავსებულ პატიმართა დიდ ნაწილს.

როგორც მონიტორინგის დროს გაირკვა, დღის პირველ ნახევარში დაწესებულებაში შედარებით დაძაბული ვითარება იყო. მსჯავრდებულები მშვიდობიანი ფორმით გამოხატავდნენ პროტესტს მიმდინარე მოვლენების მიმართ და მოითხოვდნენ N16 დაწესებულების ზოგიერთი თანამშრომლის დასჯას. ისინი ასევე მოითხოვდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან შეხვედრას.

მსჯავრდებულებმა პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს გადასცეს 336 ინდივიდუალური საჩივარი, ასევე, კოლექტიური ახსნა-განმარტება, რომელსაც ხელს აწერს 416 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ახსნა-განმარტების მიცემისა და საჩივრების გადმოცემის პროცესი განხორციელდა მშვიდ ვითარებაში და ორგანიზებულად. მსჯავრდებულებმა თავად უზრუნველყვეს ხელმოწერების შეგროვება და სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის გადაცემა.

მსჯავრდებულთა განცხადებით, რუსთავის N16 დაწესებულების ძველი ადმინისტრაციის პირობებში მუდმივად ხორციელდებოდა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა, რაც გამოიხატებოდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფასა და უსამართლო და უმიზეზო დასჯაში.

მსჯავრდებულების გადმოცემით, ადმინისტრაციის თანამშრომლები რეგულარულად შედიოდნენ საკნებში, ძირს უყრიდნენ ტანსაცმელს, ხატებს, მათ კუთვნილ სხვა ნივთებს; სამარტოო საკანში ჩაყავდათ მარტო იმიტომ, რომ შემდეგ ვეღარ ესარგებლათ ხანგრძლივი პაემნის უფლებით. ასევე, მსჯავრდებულთა თქმით, შემონმების დროს მათ უნადგურებდნენ წყლის მარაგს და შემდეგ რამდენიმე დღით უკეტავდნენ საკნებში წყალს, მაშინ, როდესაც დაწესებულების დანარჩენ ტერიტორიაზე წყალი ჩვეულებრივად მოდიოდა. დაწესებულებაში სტუმრის მოსვლის შემთხვევაში კეტავდნენ ფანჯრებს, გამორთავდნენ ვენტილაციას და უჭაერო საკანში ტოვებდნენ გარკვეული ხანი.

მსჯავრდებულთა თქმით, ადმინისტრაცია თავისი შეხედულებისამებრ რამდენიმე დღით თიშავდა ტელეფონს, ხშირად - რამდენიმე კვირითაც.

ასევე, მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა განსაკუთრებით გაუსაძლისი გახდა ყოფილი დირექტორის, ვაჟა ცხვედიანის მოსვლის შემდეგ, რომელიც მოადგილესთან, დავით მუშლაძესთან და უსაფრთხოების უფროსთან, ილო ლუტიძესთან ერთად პირადად ცემდა კარცერში განთავსებულ მსჯავრდებულებს, რასაც სხვა თანამშრომლები მობილურით იღებდნენ.

გარდა ზემოაღნიშნული პირებისა, მსჯავრდებულები ასახელებდნენ შემდეგ თანამშრომლებს: რეჟიმის ოფიცერი გიორგი ჯღარკავა, ოფიცერი თემურ კორშია და აღნიშნავდნენ, რომ ეს სია არ იყო ამომწურავი.

რუსთავის N6 დაწესებულება

2012 წლის 23 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა საგანგებო მონიტორინგი განახორციელა რუსთავის N6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც.

N6 დაწესებულების N84 საკანში განთავსებული მსჯავრდებულების განცხადებით, მათ მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან პროტესტის ნიშნად გამოცხადებული ჰქონდათ შიმშილობა. მსჯავრდებულები ითხოვდნენ მათ მიმართ წარსულში მომხდარი ფიზიკური ზეწოლის ფაქტების გამოძიებას, რასაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქსნის N15 (ყოფილი N7), რუსთავის N16, ქუთაისის N2 და N18 სამკურნალო დაწესებულებებში.

შიმშილობის გარდა, ზემოაღნიშნულმა მსჯავრდებულებმა მიმართეს პროტესტის სხვა ფორმასაც. კერძოდ, 2012 წლის 22 სექტემბერს ორი მსჯავრდებული ძაფით ზედა კიდურებით ერთმანეთს მიიკერა, ხოლო დანარჩენმა ოთხმა მსჯავრდებულმა საკერავი ძაფით მიიკერეს ზედა კიდურები სანოლზე.

მსჯავრდებულების განცხადებით, იმ დღეების განმავლობაში დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს თუ სხვა რაიმე სახის ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.

მსჯავრდებულები ითხოვდნენ პროკურატურის წარმომადგენლებთან შეხვედრას და სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამაშრომლების დავით ჭაკუას, რობერტ არაქელავის, ალექო მუხაძის, გოგა ბუთლიაშვილის, ლევან ლეჟავას, გიორგი კობრეიძის, ვაჟა ცხვედიანის, დავით მუმლაძის, დათო ნარსიას, რომა რობაქიძის (ტურა), ალადაშვილის, ვინმე ალექსას, ხონსკის და ილოს დასჯას.

2012 წლის 3 ოქტომბერს ორი მსჯავრდებული, რომლებიც მანამდე, ა/ნ 2 ოქტომბერს, გაურკვეველი მიზეზებით იქნენ ეტაპირებული რუსთავის N17 დაწესებულებიდან N6 დაწესებულებაში, გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებებში თავის არეში მიღებული მძიმე დაზიანებებით. აქედან ერთ-ერთს ჩაუტარდა რთული ქირურგიული ოპერაცია ქ.თბილისის ო.ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ გაავრცელა სპეციალური განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ შეცდომით ან მიზანმიმართულად მოხდა ორი მსჯავრდებულის შეყვანა მათთან დაპირისპირებული მსჯავრდებულების საკანში. თავის მხრივ, სახალხო დამცველის აპარატმა, საქმის შესწავლის შემდეგ გაავრცელა სპეციალური განცხადება და მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს რეკომენდაციით, რათა გამოძიება განეხილა ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა გადაწყვეტილებითაც მოხდა მსჯავრდებულების გადაყვანა N17-დან N6 დაწესებულებაში, ასევე, მათი განაწილება სწორედ იმ საკანში, სადაც მოსალოდნელი იყო, რომ მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქებოდა. აღნიშნულ საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

დასავლეთ საქართველოს ს/ა დაწესებულებები

2012 წლის 19 სექტემბრის დილის საათებიდანვე მიმდინარეობდა ზუგდიდის N4 დაწესებულების საგანგებო მონიტორინგი, კერძოდ, 2012 წლის 19 სექტემბერს ზუგდიდის N4 დაწესებულებაში განხორციელდა ორი ვიზიტი, მათ შორის ერთი - ძალიან ადრე დილით როდესაც პატიმართა უმრავლესობას ეძინა, თუმცა მოხერხდა იმ პატიმრებთან გასაუბრება, ვისაც არ ეძინათ. მათი გადმოცემით, ბოლო დღეების განმავლობაში მათზე რაიმე სახის ზეწოლა ადმინისტრაციის მხრიდან არ განხორციელებულა. აგრეთვე, არცერთი პატიმარი არ ყოფილა მოთავსებული სამართო საკანში. იგივე განაცხადეს პატიმრებმა იმავე დღეს, 19 სექტემბერს, სახალხო დამცველის წარმომადგენლის განმეორებითი ვიზიტის დროსაც.

2012 წლის 20 სექტემბერს კვლავ განხორციელდა ვიზიტი ზუგდიდის N4 დაწესებულებაში, რა დროსაც ვითარება კვლავ იყო ნორმალური და დაწესებულება ფუნქციონირებდა ჩვეულ რეჟიმში.

2012 წლის 22 სექტემბერს განხორციელდა კიდევ ერთი ვიზიტი აღნიშნულ დაწესებულებაში, რომლის შედეგადაც პატიმრების ჯგუფმა სახალხო დამცველის რწმუნებულს გადასცა წერილობითი განცხადება, სადაც ისინი მიუთითებდნენ დაწესებულების ყველა იმ თანამშრომელზე, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა წარსულში სხვადასხვა დროს მათ მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაში.

პატიმართა თქმით, მათ მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ დაწესებულების დირექტორი ამირან ჯანაშია, დირექტორის ყოფილი მოადგილე დიმიტრი ჯიჭონია, თანამშრომლები რომეო როგავა, კობა ანთია, გოგიტა გაბისონია, თემურ გოგოლი, ლევან კოდუა, პაპუნა ქირია, გურამ კვარაცხელია, ონისე, რომლის გვარიც არ იციან და იოსავა, რომლის სახელიც არ იციან, ზაზა, რომელიც დირექტორის მძღოლი იყო. განცხადებას ხელს აწერდა 7 მსჯავრდებული.

მიმდინარე წლის 23 სექტემბერს კვლავ განხორციელდა ვიზიტი N4 დაწესებულებაში და მონახულებული იქნენ ის პირებიც, ვინც სახალხო დამცველის რწმუნებულს წინა დღით მიმართა წერილობითი განცხადებით. მსჯავრდებულთა განმარტებით, რაიმე სახის ზეწოლას ადგილი არ ჰქონია და კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ უკანასკნელ დღეებში მათ მიმართ ადმინისტრაციის მხრიდან მოპყრობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ზოგადად, იმ დღეების მანძილზე, ზუგდიდის N4 დაწესებულებაში იყო მშვიდი ვითარება, რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. პატიმრებს შესაძლებლობა მიეცათ შაბათ-კვირასაც ესარგებლათ პაემნისა და ტელეფონზე საუბრის უფლებით.

2012 წლის 18 და 20 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტები გეგუთის N14 დაწესებულებაში, სადაც ზოგადად ვითარება იმ დროისთვის იყო მშვიდი. 18 სექტემბერს აღნიშნულ

დანესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულებმა განაცხადეს, რომ იმ დღის მეორე ნახევრიდან შეზღუდული ჰქონდათ ტელეფონით და ტელევიზორით სარგებლობის უფლება, თუმცა ეს უფლება მათ 20 სექტემბერს უკვე სრულყოფილად აღუდგათ. გარდა ამისა, მსჯავრდებულთა ნაწილმა ითხოვა დანესებულების მაღაზიაში ჟურნალ-გაზეთების შეტანა, ასევე, ტელეფონის აპარატების დამატება.

2012 წლის 19, 21 და 24 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ ქუთაისის N2 დანესებულებაში, სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ პატიმართა დიდ ნაწილს. მათთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ქუთაისის #2 დანესებულებაში მედიასაშუალებებით სარგებლობა პატიმრებს 19 სექტემბერის დილიდან შეეზღუდათ. ეს შეზღუდვა მათთან მხოლოდ 1 დღე - 20 სექტემბრამდე გაგრძელდა.

მიმდინარე წლის 21 სექტემბრიდან ქუთაისის N2 დანესებულებაში რამდენიმე პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო დანესებულებაში მომუშავე ოცამდე თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება, ვინც წარსულში გამოირჩეოდა პატიმართა მიმართ დამამცირებელი მოპყრობით და იჩენდა ზღვარგადასულ აგრესიას. მათ შორის ყველაზე ხშირად სახელდება დანესებულების ყოფილი დირექტორი დიმიტრი ჯიჭონია, ასევე თანამშრომლები გავა ლიპარტელიანი და ირაკლი ჯიშკარიანი.

ზოგადად, დანესებულებაში 2012 წლის 21 სექტემბერს ვითარება იყო მშვიდი და რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

პატიმრები აგრეთვე აფიქსირებდნენ სხვადასხვა პრობლემებს, რაც უკავშირდებოდა ამანათების მიღებასა და სატელეფონო კავშირით სარგებლობის უფლებას. მიმდინარე წლის 24 სექტემბრის დღის ბოლომდე შიმშილობა შეწყვიტა პატიმართა უმეტესობამ, ხოლო რამდენიმე პატიმარი აგრძელებდა შიმშილობას ნახევრად ღია ტიპის დანესებულებაში გადაყვანის მოთხოვნით. ისინი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასჯელაღსრულების დანესებულებაში გადაყვანას ითხოვდნენ.

დანესებულებაში განთავსებულმა პატიმრებმა სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაუსახელეს იმ თანამშრომელთა ვინაობა, ვინც ძველად გამოირჩეოდა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შესაბამისი ზომების მისაღებად, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები სასჯელაღსრულების სისტემაში.

პატიმრები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მოხსნილი ჰქონდათ ისეთი გაუმართლებელი და გადამეტებულად მკაცრი სარეჟიმო მოთხოვნები, რასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ პერიოდში და რაზეც სახალხო დამცველი არაერთხელ საუბრობდა თავის ანგარიშებში.

ზოგადად, იმ დროისთვის ქუთაისის N2 და გეგუთის N14 დაწესებულებაში იყო ნორმალური მდგომარეობა, სიმშვიდე და არანაირ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. პატიმართა გადმოცემით, აღნიშნულ დღეებში მათ მიმართ რაიმე სახის ზეწოლის ფაქტები დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან არ ყოფილა. დაწესებულებები ფუნქციონირებდა ჩვეულ რეჟიმში და რაიმე სახის შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია.

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა N19 სამკურნალო დაწესებულება

2012 წლის 27 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფი განახორციელა კიდევ ერთი ვიზიტი ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა N19 დაწესებულებაში, სადაც გაესაუბრენ იქ განთავსებულ მსჯავრდებულებს. მათი თქმით, 2012 წლის 25 სექტემბრიდან შიმშილობა გამოაცხადა 30-მდე მსჯავრდებულმა, რომელთა ძირითადი მოთხოვნა იყო, გაუმჯობესებულიყო სამედიცინო მომსახურება, ასევე, ამუშავებულიყო და ეფექტური გამხდარიყო მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების, ასევე, ავადმყოფობის გამო სასჯელის გადავადების ან სასჯელისგან გათავისუფლების მექანიზმები. მსჯავრდებულთა ნაწილი, მოშიმშლეთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, უარს აცხადებდა მედიკამენტების მიღებაზე.

2012 წლის 2 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა N19 სამკურნალო დაწესებულებაში. მონიტორინგის მომენტისთვის დაწესებულებაში სიმშვიდე იყო, თუმცა მსჯავრდებულები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ დაწესებულებაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო.

მსჯავრდებულთა განცხადებით, მათ ჯანმრთელობას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. ისინი არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო მედიკამენტებით, მათ შორის, ღვიძლის და სხვა ორგანოების დამცავი პრეპარატებით, რაც აუცილებელია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობისას.

მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ N19 დაწესებულების მთავარი ექიმი, ოთარ ტრაპაიძე არ ასრულებდა თავის მოვალეობებს, კერძოდ, არ ინტერესდებოდა ავადმყოფების მდგომარეობით, მიზანმიმართულად არ ახდენდა მძიმე ავადმყოფების წარდგენას სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაზე სასჯელისგან გათავისუფლების ან სასჯელის გადავადების მიზნით, ხოლო თუ ავადმყოფი პატიმარი თავისი ხარჯებით ჩაიტარებდა ექსპერტიზას, ოთარ ტრაპაიძე სასამართლოს არწმუნებდა, რომ თვითონ შეძლებდა მის განკურნებას N19 დაწესებულებაში. განცხადებაში მოყვანილი იყო ცხრა მსჯავრდებულის გვარი, რომლებიც სასჯელალსრულების სისტემაში სწორედ ამგვარი

გულგრილი დამოკიდებულების გამო გარდაიცვალენ და აღნიშნული იყო, რომ ეს სია არ არის ამომწურავი.

გარდა ამისა, N19 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუარესდა კვება. ავადმყოფებს არ ეძლეოდათ მათთვის საჭირო კალორიულობის და ნოყიერების შემცველი კერძები, დიეტური და დიაბეტური საკვები. აღნიშნული ხარვეზი წარსულში ივსებოდა ამანათებით შემოსული პროდუქტებით, თუმცა ბოლო დროს დამატებითი საკვები პროდუქტები, რასაც წარსულში იღებდნენ, ამანათებით აღარ მიეწოდებოდათ. მაღაზიაშიც პრაქტიკულად არ იყიდება ის პროდუქტები, რომლებიც მათ ესაჭიროებათ. ამანათით ასევე არ შედის თბილი ტანსაცმელი, რისი უქონლობაც თვალშისაცემი იყო მსჯავრდებულებთან დაწესებულების ეზოში გასაუბრების დროსაც.

მსჯავრდებულები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ დაწესებულებაში არსებული უმძიმესი საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების გამოც, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე.

მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს გადასცეს კოლექტიური განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა 507 მსჯავრდებული.

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, შეისწავლოს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და მოეხდინა სათანადო და დროული რეაგირება.

N12 დაწესებულება

2012 წლის 28 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ესაუბრა #12 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ირაკლი კერესელიძეს. სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის მიცემულ წერილობით ახსნა-განმარტებაში მსჯავრდებული საუბრობს #12 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის გოჩა ბალათრიშვილის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ცემის და ზენოლის ფაქტებზე. როგორც მსჯავრდებულმა აღნიშნა 2012 წლის 22 სექტემბერს მან წერილობითი განცხადებით მიმართა #12 დაწესებულების დირექტორს გოჩა ბალათრიშვილს. აღნიშნულით განაწყენებულმა დირექტორმა მას საკუთარ კაბინეტში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და თან დაემუქრა, რომ თუ კიდევ გაბედავდა წერილობითი განცხადების დაწერას მას „ქალაღებებს შეაჭმევდა და „სროკს“ აკიდებდა“.

2012 წლის 2 ოქტომბერს ზემოაღნიშნულზე #3836/03-5/1864-12 წერილით მიემართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს.

2012 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მივიღეთ #13/41917 წერილი, რითაც გვეცნობა, რომ 2012 წლის 09 ოქტომბერს ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის #004091012801 საქმეზე, სასჯელაღსრულების #12 დაწესებულების თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

იმავე დაწესებულებაში საგანგებო ვიზიტი განხორციელდა 2012 წლის 22 ოქტომბერს, იმის გამო, რომ სახურავზე იყო ასული მსჯავრდებული სერგო მერაბიშვილი, რომელიც იმუქრებოდა გადმობტომით და ითხოვდა სახალხო დამცველთან, მონიტორინგის საბჭოს წევრებთან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრას. სახალხო დამცველის წარმომადგენლების მისვლის შემდეგ მსჯავრდებულმა დატოვა სახურავი და მოხერხდა მასთან ნორმალურ ვითარებაში გასაუბრება.

მსჯავრდებულის თქმით, სახურავზე ასვლის მიზეზი გახდა დაწესებულების დირექტორის მხრიდან ზეწოლასა და მუქარა. ს.მერაბიშვილის თქმით, მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა იმ მიზნით, რომ მას ეიძულებინა ზემოთ ხსენებული მსჯავრდებული ირაკლი კერესელიძე, შეენწყვიტა ჩივილი.

იმავე საუბრის დროს ს.მერაბიშვილმა განაცხადა, რომ მას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნები, მათ შორის, ბაჩანა ახალაია და გაგა მკურნალიძე, აიძულებდნენ, ეთანამშრომლა მათთან და ჩაედინა სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, მათ შორის, ცრუ ჩვენებები მიეცა სხვადასხვა პირების წინააღმდეგ. მსჯავრდებულის თქმით, მას ასევე აიძულებდნენ, საკუთარი ხარჯებით გაერემონტებინა დაწესებულების ინფრასტრუქტურა.

ზემოაღნიშნული გასაუბრებისას შედგენილი ახსნა-განმარტება სახალხო დამცველის აპარატმა 23 ოქტომბერს გადაუგზავნა მთავარ პროკურატურას, საიდანაც 2 ნოემბერს გვეცნობა, რომ აღნიშნულ საქმეზე 2012 წლის 31 ოქტომბერს დაიწყო გამოძიება.

რუსთავის N17 დაწესებულება

2012 წლის 26 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფი იმყოფებოდა სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში, სადაც გაესაუბრა იქ განთავსებულ მსჯავრდებულებს. 13 მსჯავრდებული, რომლებიც საკუთარ

თავს პოლიტპატიმრებს უწოდებენ, 26 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე შიმშილობას გეგმავენ.

სახალხო დამცველის სახელზე მათ დაწერეს განცხადება, რომლის მიხედვითაც აცხადებენ შიმშილობას ამა წლის 26 სექტემბრის 00.00 საათიდან 1 ოქტომბრის დადგომამდე, რომლის მიზეზადაც ასახელებენ საზოგადოდ ცნობილი წამების ფაქტების გაპროტესტებას და სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნას.

მსჯავრდებულები ასევე მოთხოვენ, რომ რუსთავის N17 დაწესებულებაში - სადაც ისინი არიან განთავსებული, გავრცელდეს „Must Carry“-ს პრინციპი, მათ შორის არჩევნების შემდგომ პერიოდშიც.

სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები

2012 წლის 18 სექტემბრის მოვლენებიდან რამდენიმე დღეში სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების დირექტორი გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან და ამავდროულად დანიშნული იქნენ ახალი ხელმძღვანელები. ასევე, რამდენიმე დღეში თანამდებობა დატოვა პრაქტიკულად ყველა იმ თანამშრომელმა, რომლებზეც პატიმრები მიუთითებდნენ, როგორც მოძალადეებზე. ზოგიერთმა მათგანმა საკუთარი ინიციატივით დატოვა სამსახური.

იმავე დღეებში სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იქნა მიცემული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულებების 20-მდე თანამშრომელი.

2012 წლის 20 სექტემბერს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად დაინიშნა ყოფილი სახალხო დამცველი გიორგი ტულუში. აღნიშნულის შემდეგ განხორციელდა რიგი დადებითი ცვლილებებისა, რომლებიც გარკვეულწილად ენმაურებოდა გასულ წლებში სახალხო დამცველის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

მაგალითად, დახურული ტიპის დაწესებულებებში (ქუთაისის N2, გლდანის N8, N18, რუსთავის N6 დაწესებულებები) პატიმრებს უფლება მიეცათ, დაწესებულების მაღაზიებში შეიძინონ ტელევიზორები, ამანათებში ნაწილობრივ მოიხსნა სრულიად გაუმართლებელი აკრძალვები (მაგ. ჯინსების), ხელმისაწვდომი გახდა პრესა, ზოგიერთ დაწესებულებაში საჭიროებისამებრ შეიცვალა საწოლის აღჭურვილობა, ქუთაისის N2, გლდანის N8 და N18 დაწესებულებებში პატიმრები აღარ ერიდებიან კანონით კუთვნილ გასეირნებაზე გასვლას.

იმავე დღეებში, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ადგილებზე დარჩენილი თანამშრომლების დასახმარებლად, დაწესებულებებში დროებით დისლოცირებული იქნენ

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები და დაწესებულებებში, სადაც აშკარად იგრძნობოდა თანამშრომლების ნაკლებობა, არ მომხდარიყო დესტაბილიზაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე იმყოფებოდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. პატიმრები საკმაოდ კეთილგანწყობით შეხვდნენ ამ დროებით ცვლილებას და ამ ხნის განმავლობაში პოლიციის თანამშრომლების მიმართ რაიმე აგრესია არ გამოუხატავთ. პრევენციული ჯგუფის წევრები ყოველდღიურად ესაუბრებოდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებსაც, რომელთა გადმოცემითაც, მათ მიმართ პატიმართა მხრიდან რაიმე სახის აგრესიას ადგილი არ ჰქონია და არც არანაირი პრობლემა შექმნიათ დაწესებულებებში ყოფნის განმავლობაში.

ამავდროულად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ახალი დირექტორების უდიდესმა ნაწილმა საკმაოდ სწრაფად და ხარისხიანად დაამყარა პატიმრებთან კომუნიკაცია, რამაც ხელი შეუწყო დამატებითი არეულობის და დესტაბილიზაციის პრევენციას და დაწესებულებების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო ქსნის N15 და რუსთავის N16 დაწესებულების ხელმძღვანელობა, რომლებმაც მოკლე დროში შეძლეს მათთვის მანამდე უცხო სამუშაოს სპეციფიკის გაცნობა და დაწესებულებებში მათი ხანმოკლე მუშაობის პერიოდში შეძლეს პატიმრებში ნდობის მოპოვება.⁵

იმავს ვერ ვიტყვით რუსთავის N17 და N6 დაწესებულების ახალ ხელმძღვანელებზე, რომელთაც, როგორც აღმოჩნდა, გაუჭირდათ ახალი სამუშაოსთვის ალღოს აღება და პატიმრებთან კომუნიკაციის დამყარება. ისინი მოექცნენ ძველი თანამშრომლების გავლენის ქვეშ. ამის დასტურია N6 დაწესებულებაში მომხდარი ინციდენტი, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.⁶

2012 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც დამტკიცდა იმ პირთა სია, რომელთაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება მიენიჭათ.

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი მიესალმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას და ამავდროულად მიიჩნია, რომ სასჯელაღსრულების სისტემის გამჭვირვალობა და სამოქალაქო საზოგადოების წევრების გაზრდა მნიშვნელოვანია სისტემის გაჯანსაღებისათვის და არასათანადო მოპყრობის თუ სხვა უფლებადარღვევების პრევენციისთვის.

5 თუმცა სამინისტროს ხელმძღვანელობის შეცვლის შემდგომ აღნიშნულმა დირექტორებმა დატოვეს თანამდებობები.

6 ამჟამად არცერთი ამ დირექტორთაგან აღარ იკავებს აღნიშნულ თანამდებობას.

ამასთანავე, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მოუწოდა კომპეტენტურ ორგანოებს, უმოკლეს ხანში განესაზღვრათ სიაში აღნიშნულ პირთა უფლებამოსილებები. კერძოდ, მათ მიერ ინფორმაციის მოპოვებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები, რათა საზოგადოებრივი მონიტორინგის სისტემა სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის სრულფასოვან ალტერნატივად ჩამოყალიბებულიყო.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, საგანგებო მონიტორინგის დროს, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სასჯელალსრულების დაწესებულებებში ა/ნ 1 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობაზე და არჩევნების პროცესებზე, რა დროსაც 1 ოქტომბერსვე განხორციელდა ვიზიტები იმ დაწესებულებებში, სადაც გახსნილი იყო საარჩევნო უბნები ან სადაც არჩევნები ჩატარდა გადასატანი ყუთების მეშვეობით. როგორც ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, არჩევნები სასჯელალსრულების დაწესებულებებში ჩატარდა მშვიდ ვითარებაში, რაიმე ზენოლას ადმინისტრაციების მხრიდან საარჩევნო ხმის უფლების მქონე პატიმართა მიმართ ადგილი არ ჰქონია და პატიმრებმა თავისუფლად შეძლეს საკუთარი არჩევანის დაფიქსირება. იგივე დააფიქსირეს იმ მსჯავრდებულებმა, რომლებიც საკუთარ თავს უწოდებენ პოლიტპატიმრებს.

არჩევნების პროცესში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა სასჯელალსრულების სისტემის სოციალური სამსახურების ხარვეზები, რაზეც სახალხო დამცველი არაერთხელ მიუთითებდა საკუთარ ანგარიშებში სხვადასხვა დროს - პატიმართა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო არჩევნებში მონაწილეობა სწორედ იმის გამო, რომ არ ჰქონდა პირადობის მოწმობა, ხოლო სოციალურმა სამსახურმა, რომელსაც ამგვარ საკითხებზე ზრუნვა ევალება, დროულად ვერ უზრუნველყო პირადობის მოწმობის გარეშე დარჩენილ პატიმართა აღრიცხვა და პირადობის დასამზადებლად საჭირო პროცედურების გავლა. პატიმართა გარკვეულმა ნაწილმა განაცხადა, რომ მათ საერთოდ არ იცოდნენ იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება ბრალდებულის სტატუსით. აღნიშნულ საკითხებზე პატიმრების ინფორმირებაც სოციალური სამსახურის ვალდებულება იყო.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ხელისუფლების, მათ შორის, მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობის შეცვლა მოყვა. 19 ოქტომბერს სასჯელალსრულების მინისტრის თანამდებობა დაიკავა ასევე ყოფილმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა. პარალელურად, რამდენიმე დაწესებულებაში კვლავ განხორციელდა ხელმძღვანელობის ცვლილება, რამაც, ზოგადად, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა.

სამწუხარო გამონაკლისი აღმოჩნდა რუსთავის N16 დაწესებულება, სადაც ა/ნ 29 ოქტომბერს, დირექტორის კიდევ ერთხელ შეცვლის შემდეგ, კვლავ თავი იჩინა პატიმართა უკმაყოფილებამ, რის მიზეზიც გახდა უკვე ახალი ხელმძღვანელი. 31 ოქტომბერს სახალხო დამცველის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ

და გაესაუბრნენ N16 დანესებულების მსჯავრდებულთა დიდ ნაწილს. მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის რწმუნებულებს მიაწოდეს კოლექტიური განცხადებები. თითოეულს ხელს აწერდა რამდენიმე ასეული პატიმარი. მსჯავრდებულთა გადმოცემით, 2012 წლის 29 ოქტომბერს დანესებულებაში შეიცვალა დირექტორი, რომელმაც მოსვლის დღიდან დაიწყო ძველი მეთოდების დამკვიდრება - პატიმრებს დაუნესდათ გაუმართლებელი შეზღუდვები, კერძოდ, აღარ ეძლეოდათ ეკლესიაში გადასვლის საშუალებას, საკანში სარეცხის გაფენის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილი არ არსებობს. მსჯავრდებულთა განცხადებით, ახალი დირექტორი პატიმრებს ემუქრებოდა სასჯელის დამატებით, სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანით. მათი თქმით, პატიმრებს უმიზეზოდ სჯიდნენ და გადაყავდათ სამარტოო საკანში.

მსჯავრდებულებმა განცხადებაში ასევე აღნიშნეს, რომ #16 დანესებულებაში განთავსებულნი არიან პატიმრები, რომლებისთვისაც ახალ დირექტორს, ლევან აბურჯანიას, პოლიციაში მუშაობის დროს, „ჩადებული“ ჰქონდა ნარკოტიკი და რომლებიც ნაცემი ჰყავდა. მსჯავრდებულთა გადმოცემით, დანესებულებაში ახალი დირექტორის მოსვლის შემდეგ გამოჩნდნენ ის ძველი თანამშრომლები, რომლებიც ვაჟა ცხვედიანის დირექტორობის პერიოდში სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

2012 წლის 31 ოქტომბერს ვრცელდებოდა ინფორმაცია ნაცემი პატიმრების თაობაზე, თუმცა სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის პატიმრებს აღნიშნულის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ მიუწოდებიათ. მსჯავრდებულთა თქმით, ისინი პროტესტის ნიშნად არ ისარგებლებდნენ პაემნებით. აგრეთვე, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პატიმრებს შორის არანაირი სახის უთანხმოება არ არსებობდა, ხოლო ინფორმაცია, თითქოს #16 დანესებულების მსჯავრდებულები ერთმანეთთან იყვნენ დაპირისპირებულები, იყო მცდარი. მონიტორინგის დროს #16 დანესებულებაში შიმშილობდა 5 პატიმარი, ორი პატიმარი აპროტესტებდა სამარტოო საკანში განთავსებას, ხოლო სამი – მათი თანასაკნელების სამარტოო საკანში გადაყვანას.

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მოუწოდა სასჯელ-აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, სიღრმისეულად შეესწავლა ზემოაღნიშნული ფაქტები და მიეღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება. ამასთანავე, პატიმართა განცხადება რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან 16 ნოემბერს მიღებული წერილის თანახმად, დირექტორი ლევან აბურჯანია 2 ნოემბერს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მთლიანობაში, სექტემბერში განვითარებული მოვლენების შემდეგ, რიგ დანესებულებებში, გარკვეულმა პატიმრებმა სცადეს ბოროტად ესარგებლათ შედარებით თავისუფალი სარეჟიმო პირობებით. იმრავლა დანესებულებებში პატიმართა მხრიდან თვითდაზიანებების ფაქტებმა სხვადასხვა მოთხოვნებით, საიდანაც უმრავ-

ლესი უკავშირდება სამედიცინო მოსახურებას, რაც კვლავ პრობლემად რჩება პენიტენციურ სისტემაში. გახშირებული იყო პატიმართა მხრიდან სამედიცინო პერსონალის შეურაცხყოფის ფაქტები, რის შედეგადაც, მაგალითად რუსთავის N6 დაწესებულების თითქმის ყველა ექიმმა უარი განაცხადა ასეთ ვითარებაში მუშაობაზე და დატოვა დაწესებულება, რამაც კრიტიკული ვითარება შექმნა. სასჯელალსრულების დაწესებულებებში 2012 წლის 18 სექტემბრიდან დღემდე, არასათანადო მოპყრობის ფაქტებს დღემდე ადგილი არ ჰქონია.

რასაკვირველია, ჯერჯერობით კვლავ მძიმე ვითარებაა პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში, მათ შორის, ფსქიატრიული კუთხით, რაზეც სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს.

პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, დღის წესრიგში დგას N19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ახლადგახსნილი საცხოვრებელი კორპუსის დატვირთვა და მთელის სიმძლავრით ამუშავება, რაც ვიმედოვნებთ სათანადო შედეგს გამოიღებს ტუბერკულოზთან ბრძოლაში.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ 20 სექტემბრიდან მეტი დატვირთვით ამუშავდა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმი, საგრძნობლად გაიზარდა ავადმყოფი პატიმრების გადაყვანის შემთხვევები N18 სამკურნალო დაწესებულებასა და ქალაქის კლინიკებში სხვადასხვა გამოკვლევების და მკურნალობის ჩასატარებლად.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი იმედოვნებს, რომ დადებითი ძვრა, რომელიც განხორციელდა სასჯელალსრულების სისტემაში და რომელიც, პირველ რიგში, არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრასთან და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული, დროებითი არ იქნება და ლოგიკურ განვითარებას ჰპოვებს მომავალში. მნიშვნელოვანია, რეფორმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შესაბამისი დარგების სპეციალისტთა, მათ შორის, პირველ რიგში, ჯანდაცვის პროფესიონალთა ჩართულობას, ასევე, რეფორმები დაიგეგმოს და განხორციელდეს სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ გაცემული რეკომენდაციების, ასევე, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით.